* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება

სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი

- სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = ფიქსირებული
- სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %
- სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %

ფინანსური ხარჯები

- **სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხის 0.1%-ი, არანაკლებ 100** [ვალუტა]

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სადეპოზიტო სერტიფიკატის ერთჯერადი შენატანი = [რიცხვი და ვალუტა]
- სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა = [თვე]
- თქვენი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაზღვეულია "დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.
- ბანკი არ არის ვალდებული ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტო სერტიფიკატი.
- ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ მომხმარებლის ინფორმირება მოხდება წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით ცვლილებამდე არანაკლებ 2 თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და მოწონებას ან/და რაიმე ფორმით კლიენტის ინფორმირებას.
- აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები;
- იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გადაწყვეტს, კლიენტის სურვილის საფუძველზე ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტოსერტიფიკატი, კლიენტი ვალდებული იქნება სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილ ვადაზე გადაუხადოს ბანკსსაკომისიო, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: სადეპოზიტო სეტთიფიკატის გამოსყიდვის დროისთვისსადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებელს დამატებული 3%ან სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის მომდევნო ვადის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტოსარგებელს დამატებული 3%.

- უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! [უცხო ვალუტის შემთხვევაში]
- ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს![უცხო ვალუტის შემთხვევაში]
- ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური [---]%.[უცხო ვალუტის შემთხვევაში]

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე: www.credobank.ge
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ.გვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულება N[ხელშეკრულების ნომერი]

ქალაქი [რიცხვი] [თვე] 20[---] წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1.ბანკი
ბანკის სახელწოდება: ს/ს "კრედო ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი:205232238
რეგისტრაციის ფორმა: კომერციული ბანკი
საზედამხედველო ორგანო:საქ. ეროვნული ბანკი
მისამართი:ქ. თბილისი, თაბუკაშვილის N27;
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):
სახელი და გვარი: [სახელი/გვარი]
თანამდებობა/სტატუსი:[თანამდებობა]
ტელეფონის ნომერი:(032) 2 42 42 42ელ.
ფოსტა:info@credo.ge

1.2. კლიენტი
კლიენტისახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:[სახელი/გვარი]
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:[საიდენტიფიკაციო ნომერი]
იურიდიული მისამართი:[მისამართი]
ფაქტობრივი მისამართი:[მისამართი]
ტელეფონის ნომერი:[ტელეფონის ნომერი]
ელ.ფოსტა:[მეილი]
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):
სახელი და გვარი:[სახელი/გვარი]
საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი:{ტელეფონის ნომერი}

2. სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობები:

2.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის** ტიპი:	[დისკონტური] < ან > [საპროცენტო];
4.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის** თანხა:	[ციფრებით/ ვალუტა];
5.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადა:	[ციფრებით/თვე];
6.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური** საპროცენტო განაკვეთი:	[პროცენტი ციფრებით (სიტყვიერად)]%;
7.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის** წლიური ეფექტური საპროცენტო **სარგებლის მოცულობა:**	[პროცენტი ციფრებით (სიტყვიერად)]%;
8.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებლის** დარიცხვის პირობები:	/ვადის ბოლოს ან/და ყოველთვიური
9.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებლის** გადახდის პირობები:	[პირობები]
10.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადის გასვლის შემდეგ თანხა ჩაირიცხება ანგარიშზე:	[ანგარიშის ნომერი]
11.	ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი:	[ანგარიშის ნომერი]

ბანკი **კლიენტი**
--- ---
-

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითადი ხელშეკრულება N[ხელშეკრულების ნომერი]

ქალაქი თარიღი [რიცხვი] [თვე] 20[---] წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი
ბანკის სახელწოდება: ს/ს "კრედო ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი:205232238
რეგისტრაციის ფორმა: კომერციული ბანკი
საზედამხედველო ორგანო:საქ. ეროვნული ბანკი
მისამართი:ქ. თბილისი, თაბუკაშვილის N27;
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):
სახელი და გვარი: [სახელი/გვარი]
თანამდებობა/სტატუსი:[თანამდებობა]
ტელეფონის ნომერი:(032) 2 42 42 42ელ.
ფოსტა:info@credo.ge
1.2. კლიენტი
კლიენტისახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:[სახელი/გვარი]
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:[საიდენტიფიკაციო ნომერი]
იურიდიული მისამართი:[მისამართი]
ფაქტობრივი მისამართი:[მისამართი]
ტელეფონის ნომერი:[ტელეფონის ნომერი]
ელ.ფოსტა:[მეილი]
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):
სახელი და გვარი:[სახელი/გვარი]
საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი:{ტელეფონის ნომერი}

2. ტერმინთა განმარტება
2.1. **ანგარიში** - ბანკში არსებული **კლიენტის** (ან/და **მფლობელის**) მიმდინარე ანგარიში.
2.2. **ბანკი** - სს „კრედო ბანკი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205232238; ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N27.
2.3. **გასხვისების დავალება** - **ბანკის** მიერ შემუშავებული ფორმა, რომელიც გამოიყენება **მფლობელის** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გასხვისების შემთხვევაში და რომელსაც **ბანკთან** ერთად ხელს აწერს **მფლობელი** და **სადეპოზიტო სერტიფიკატის** მიმღები.
2.4. **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო.
2.5. **ვებ-გვერდი** - **ბანკის** სარგებლობაში არსებული შემდეგი ვებ-გვერდი: www.credo.ge.
2.6. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
2.7. **კლიენტი** - პირი, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **ძირითადი ხელშეკრულების** 1.2. პუნქტში.
2.8. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი, გარდა **ბანკისა** და **კლიენტისა.**
2.9. **მფლობელი** - **სადეპოზიტო სერტიფიკატის** მოქმედების დროის კონკრეტულ მონაკვეთში **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ნომინალური მფლობელი.
2.10. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** (კონტექსტის შესაბამისად).
2.11. **საბანკო დღე** - დღის (შაბათის, კვირის ან განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, თუ გამონაკლის შემთხვევაში **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს) ის მონაკვეთი, როდესაც **ბანკის** სერვის-ცენტრების უდიდესი ნაწილი ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულ საქმიანობას.
2.12. **სადეპოზიტო სერტიფიკატი** - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის ბრძანებით (N49/04) განსაზღვრული არასტანდარტული **სადეპოზიტო სერტიფიკატი,** რომელზეც არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები და რომლის დეტალური პირობები განსაზღვრულია **ხელშეკრულებით.**

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

2.13. **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულება** - ძირითად ხელშეკრულების ფარგლებში, **მხარეთა** შორის გაფორმებული **ხელშეკრულება**, რომელიც განსაზღვრავს **კლიენტის** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ნასყიდობის დეტალურ პირობებს.

2.14. **საპროცენტო სარგებელი** - **ბანკის** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** თანხაზე დარიცხული/დასარიცხი საპროცენტო სარგებელი.

2.15. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საომარი მოქმედება,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **ბანკისათვის** გადაულახავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული ბანკის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.

2.16. **ძირითადი ხელშეკრულება** - წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულება, რომლიც განსაზღვრავს **მხარეთა** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ნასუიდობისა და გასხვისების ზოგად პირობებს.

2.17. **ხელშეკრულება** - **ძირითადი ხელშეკრულება** და **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულება** (მათ შორის მომავალში განხორციელებული ცვლილებების/დამატებების ჩათვლით) ერთობლივად.

2.18. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** თანხა - **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შესყიდვის ფასი, რომლის გადახდის სანაცვლოდაც სერტიფიკატის **მფლობელი** იძენს სადეპოზიტო სერტიფიკატს;

2.19. **ფინანსური ხარჯი** – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს;

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე **კლიენტი ბანკისგან** შეიძენს **სადეპოზიტო სერტიფიკატს**, ხოლო **ბანკი** ვალდებულია **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს** გადაუხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული თანხა.

3.2. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** დეტალური პირობები განისაზღვრება **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულებით.**

4. სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითადი პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ბანკი არ არის ვალდებული ვადაზე ადრე გამოისყიდოს **სადეპოზიტო სერტიფიკატი.**

4.2. **სადეპოზიტო სერტიფიკატი** შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ დემატერიალიზებული ფორმით და მისი მფლობელობა დასტურდება **ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის** რეესტრში არსებული ელექტრონული ჩანაწერით.

4.3. ერთ **სადეპოზიტო სერტიფიკატს** შესაძლებელია ჰყავდეს მხოლოდ ერთი **მფლობელი.** დაუშვებელია **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ნაწილობრივ გასხვისება. **მფლობელი** უფლებამოსილია გაასხვისოს **სადეპოზიტო სერტიფიკატი** ნემისმიერ მესამე პირზე, ნებისმიერ დროს, რის შესახებაც უნდა აცნობოს **ბანკს**, რათა ამ უკანასკნელმა დროულად მოახდინოს შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია რეესტრში. შესაძლებელია **სადეპოზიტო სერტიფიკატის** მრავალჯერ გასხვისება ყოველი ახალი მფლობელის მიერ. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გასხვისებისას ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები და უფლებები **სადეპოზიტო სერტიფიკატის** მყიდველზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორც იყო **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გამყიდველის ხელში და სერტიფიკატის მყიდველი იკავებს **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გამყიდველის ადგილს .

4.4. გასხვისებისათვის სავალდებულოა **კლიენტის** და მყიდველის გამოცხადება **ბანკში**, რათა წარმოადგინონ ერთობლივი **გასხვისების დავალება სადეპოზიტო სერტიფიკატის** გასხვისების და შეძენის შესახებ. **გასხვისების დავალების** არის **ბანკის** მიერ შემუშავებული ფორმა.

4.5. **სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** ამონაწერი **სადეპოზიტო სერტიფიკატის** რეესტრიდან, რომლის მიღებაც შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული საშუალებებითაც. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ამონაწერის ელექტრონული გზით მისაღებად, **კლიენტი** ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნა გააგზავნოს **ბანკის** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - bs@credo.ge, **ძირითადი ხელშეკრულების** 1.2. პუნქტით განსაზღვრული კლიენტის ელექტრონული მისამართიდან, რომელზეც **კლიენტი** მიიღებს **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ელექტრონულ ამონაწერს.

4.6. **სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია, **ძირითადი ხელშეკრულების** ფარგლებში, **ბანკის** თანხმობის გარეშე ნებისმიერ პირზე გაასხვისოს **სადეპოზიტო სერტიფიკატი, ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

4.7. **კლიენტი** (ისევე როგორც **მფლობელი**) ვალდებულია, **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შეძენამდე და **სადეპოზიტო სერტიფიკატის** განაღდების მომენტისთვის ბანკში იქონიოს ანგარიში. **სადეპოზიტო სერტიფიკატთან** დაკავშირებული ნებისმიერი სახის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ანგარიშის მეშვეობით.

4.8. **სადეპოზიტო სერტიფიკატზე** საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაიწყება **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შეძენის მომენტიდან, ხოლო **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შეძენის მომენტად ითვლება მისი რეგისტრაციის თარიღი **ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის** რეესტრში.

4.9. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მხარეთა** მიერ ან/და **ბანკისა** და **მფლობელის** მიერ **ძირითად ხელშეკრულებაში** განხორციელებული ცვლილება ავტომატურად გავრცელდება აღნიშნულ ცვლილებამდე გასხვისებულ **სადეპოზიტო სერტიფიკატზე.**

4.10. **კლიენტი / მფლობელი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების** გაფორმებამდე **ბანკისგან** მიიღო სრული და გასაგები ინფორმაცია (მათ შორის, **სადეპოზიტო სერტიფიკატთან** დაკავშირებული ფინანსური ხარჯების შესახებ), რაც აუცილებელი იყოს მისი მხრიდან **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შეძენაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

4.11. აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები;

4.12. **კლიენტი** უფლებამოსილია სადეპოზიტო დერთიფიკატი გამოიყენოს, როგორც უშუალოდ **კლიენტის,** ისე ნებისმიერი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

4.13. იმ შემთხვევაში, თუ **სადეპოზიტო სერტიფიკატი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ან/და სხვა მესამე პირის მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, **ბანკი** უფლებამოსილია მის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა განახორციელოს **სადეპოზიტო სერტიფიკატიდან,** მისი უაქცეპტო წესით განაღდების გზით, სერტიფიკატის **მფლობელი** პირის მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადატანის გარეშე, რის შემდეგაც განხორციელდება **სადეპოზიტო სერტიფიკატის** დაფარვა, **სადეპოზიტო სერტიფიკატის** შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება და შეწყდება **სადეპოზიტო სერტიფიკატის** პირობებით გათვალისწინებული სარგებლის დარიცხვა.

5. დეპოზიტების დაზღვევა

5.1. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge“. (ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან).

5.2. ანგარიშზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს** მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 30 000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 30 000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით.

5.3. **ბანკში კლიენტის** ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.

5.4. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები. ანაზღაურება მოხდება ლარში.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – *www.nbg.gov.ge/cp* და ცხელ ხაზზე – *032 2 406 406.*

6. ვადამდე გამოსყიდვა, დაფარვა (განაღდება)

6.1. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** მოქმედების განმავლობაში, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს თავად შეიძინოს - ცალმხრივად ვადამდე გამოისყიდოს **სადეპოზიტო სერტიფიკატი** მფლობელისაგან, სერტიფიკატის გამოშვების პირობებით წინსწარ გასაზღვრული საკომისოს გადახდის გზით. ამასთან, **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადამდე გამოსყიდვა წარმოადგენს **ბანკის** უფლებამოსილებას და არა **ბანკის** ვალდებულებას.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

6.2. **ბანკის** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადაზე ადრე გამოისყიდის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებული იქნება **ბანკს** გადაუხადოს საკომისიო, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის დროისთვის სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებელს დამატებული 3% ან სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის მომდევნო ვადის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებელს დამატებული 3%.

7. ფორს-მაჟორი

7.1. არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია **ფორს-მაჟორული** გარემოებით.

7.2. თუ **კლიენტს** ან/და **მფლობელს** დაუდგება **ფორს-მაჟორული** გარემოება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში) წერილობით შეატყობინოს ბანკს აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტი** ან/და მფლობელს კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორულ** გარემოებას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

8. ანგარიშსწორება

8.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **მხარეთა** შორის (მათ შორის მფლობელთან) ანგარიშსწორება განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე **ხელშეკრულებითა** და **ძირითადი** ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალუტაში.

8.2. თუ ფინანსური ვალდებულების შესრულების დღე არ ემთხვევა **საბანკო დღეს,** მისი შესრულება უნდა მოხდეს მომდევნო **საბანკო დღეს**.

8.3. **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადამდე გამოსყიდვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გამოსყიდვის საფასური ჩარიცხოს **მფლობელის** მიმდინარე საბანკო ანგარიშზე. **ბანკი** პასუხს არ აგებს სერტიფიკატის დაფარვისას (განაღდებისას) **მფლობელის** მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებული შეზღუდვებისათვის (ინკასო, ყადაღა და სხვა).

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს! ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური [---]%.

9. კომუნიკაცია

9.1. თუ **კანონმდებლობით** სხვა წესი არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერ შეტყობინებას ბანკი **კლიენტს და მფლობელს** მიაწვდის ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან რამდენიმე გზით: ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სერვის-ცენტრებში ინფორმაციის განთავსებით, **კლიენტის** ან/და **მფლობელის** ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონის ნომერზე, მისამართზე ან/და სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით, ასევე, **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ დაფიქსირებულ სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით.

9.2. **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მიერ **ბანკისათვის** შეტყობინების გაგზავნა მოხდება წერილობით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **ბანკის** ფაქტობრივ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

9.3. **ბანკის** მიერ, მის ხელთ არსებულ **კლიენტის** ან/და **მფლობელის** საკონტაქტო რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სრულად და ჯეროვნად გაგზავნილად და **კლიენტისთვის** ან/და **მფლობელისათვის** ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა **კლიენტს** ან/და მფლობელს ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა შეტყობინება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყო, როგორც უშუალოდ **კლიენტის** ან/და **მფლობელის** ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების განზრახ ჩაუბარებლობით, ისე **კლიენტი** ან/და **მფლობელის** მიერ საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის საცხოვრებელი მისამართის) ცვლილებით.

10. კონფიდენციალურობა

10.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

10.1.1. თუ უშუალოდ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისთვის.

10.1.2. თუ ის ცნობილი იყო **მხარისათვის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

10.1.3. რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა **კანონმდებლობით**.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

10.2. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე:

10.2.1. **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **კლიენტისა** და მისი აქციონერების/დამფუძნებლების და მათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია მიმდინარე ვალდებულებების, მათი უზრუნველყოფის საშუალებების/საგნების, სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და დავის განმხილველ სხვა ორგანოში არსებული/დასრულებული საქმისწარმოების შესახებ) მრავალჯერადად გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს.

10.2.2. სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ **მესამე პირს**, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს ანალოგიურ ინფორმაციას.

10.2.3. სს „კრედიტინფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს ინფორმაცია **კლიენტის** ან/და **მფლობელის** შესახებ.

10.2.4. **კლიენტის** ან/და **მფლობელის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს **მესამე პირს,** თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის **მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში), კლიენტის** ან/და **მფლობელის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

11. პრეტენზიები და დავები

11.1. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ გვერდის https://credobank.ge/contact/, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის https://www.facebook.com/CredoBank ან/და ბანკის სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის- ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე https://credobank.ge/protection/. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვი პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: https://credobank.ge/protection/ და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.

11.2. **ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშეც, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, **კანონმდებლობით** განსაზღვრული წესის
შესაბამისად.

11.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

12.1. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები (გარდა **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულებით** განსაზღვრული არსებითი პირობებისა), ვებ-გვერდზე**, ბანკის** სერვის-ცენტრებში (ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით), შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, თუ უშუალოდ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით კლიენტის** ან/და **მფლობელის** ინფორმირების სხვა წესი არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება: ა) არ აუარესებს **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მდგომარეობას, ბანკი თავისუფლდება წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან, რა დროსაც, აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების ან/და **კლიენტისათვის/მფლობელისთვის** შეტყობინების მიწოდების მომდევნო საბანკო დღეს, თუ **ბანკის** მიერ სხვა პირობა (ან ვადა) არ იქნება განსაზღვრული; ბ) აუარესებს **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მდგომარეობას, ბანკი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების თაობაზე, წინასწარ, არანაკლებ 2(ორი) თვით ადრე აცნობოს **კლიენტს** ან/და მფლობელს პირადად, ელექტრონული ფოსტის,

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

სმს-ის ან/და კურიერის მეშვეობით, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე ელექტრონული ფოსტის, სმს-ის ან/და კურიერის მეშვეობით.

12.2. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, გარდა **ძირითადი ხელშეკრულების** 12.1. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კლიენტს ან/და მფლობელს **ხელშეკრულების** პირობების ისეთი ცვლილების შესახებ, რაც: ა) ფინანსურად არ აუარესებს **კლიენტის** ან/და **მფლობელის** მდგომარეობას ან/და დაკავშირებულია **ბანკის** მიერ დადგენილი ტექნიკური პროცედურის ცვლილებასთან.

13. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

13.1. **ძირითადი ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ **ძირითადი ხელშეკრულების** ხელმოწერის, ხოლო **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულება** - შესაბამისად მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ ნაკისრი (მათ შორის **მფლობელის** მიერ) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

13.2. **კლიენტს** არ აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.

13.3.კლიენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხის ვადამდე მოთხოვნა **ბანკისაგან**, სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, დაუშვებელია.

13.4. **ბანკის** მიერ **სადეპოზიტო სერტიფიკატის** ვადამდე გამოსყიდვით და **სადეპოზიტო სერტიფიკატის** დაფარვით წყდება ხელშეკრულება და **სადეპოზიტო სერტიფიკატს** სარგებელი აღარ დაერიცხება.

14. ზოგადი პირობები

14.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები **კლიენტმა/მფლობელმა** უნდა შეასრულოს პირადად. **კლიენტი/მფლობელი** არ არის უფლებამოსილია **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე საკუთარი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს **მესამე პირს**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლება-მოვალეობების გადაცემა წარმოშობილია **სადეპოზიტო სერტიფიკატის** გასხვისებიდან. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი) მიიღოს მესამე პირისგან.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** რაიმე პირობა, კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ გავრცელდება **კლიენტზე** ან/და მფლობელზე მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს **ხელშეკრულების** სრულად ბათილობას და **კლიენტზე** ან/და **მფლობელზე** გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.

14.3. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული **ხელშეკრულებით**, რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკი **კლიენტი**

--- ---